პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 130 (7691)
8 ივლისი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საქმე, რომელიც დახანებას ვერ ითმენს

დავუბრუნოთ ოდინდელი ავტორიტეტი ეროვნულ ჩემპიონატებს!

რესპუბლიკის ჩემპიონატი... გულახდილად ვთქვათ—ამას სპორტის ქომაგების გასაგონად ვამბობთ — ხომ გაგვიჭირდება გახსენება, ბოლოს როდის ვიყავით საქართველოს პირველობაზე? ჰოდა, ჩვენც მანდა ვართ, უფრო სწორად, თქვენსავით გვაწუხებს და გვაღონებს ეს ფაქტი. როდის აქეთ არის, რაც ჩვენმა ეროვნულმა ჩემპიონატებმა ტრადიციული სტატუსი და მნიშვნელობა დაკარგა? ამის კვლევა და ჩხრეკა შორს წაგვიყვანდა. ანდა ღირს კი ლაპარაკი და მსჯელობა იმაზე, რაც დაკარგულა? ალბათ ამჯერად არ ღირს რადგან გვიჯობს დღევანდელ დღესა და უფრო შორეულ მომავალზეც ვიფიქროთ.

ისე კი, არ შეიძლება უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებს ნოსტალგია არ დაეუფლოთ გარდასულ დღეთა გამო, როცა ეროვნულ ჩემპიონატს თავისი განუმეორებელი პეწი და ლაზათი ჰქონდა, როცა იგი სამართლიანად ითვლებოდა ქართული სპორტის სამჭედლოდ, ახალი ოსტატების საერთაშორისო და საკავშირო მასშტაბის სპორტსმენთა აღზრდის საიმედო კერად, იმ პირველ სიმბოლურ სასწავლებლად, რომელიც უთუოდ უნდა დაემთავრებინათ ქართული სპორტის მართვეებს. მაგრამ ჩემპიონატებს განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენდა ის ფაქტი, რომ მათში ნიადაგ მონაწილეობდნენ საქვეყნოდ აღიარებული და მსოფლიოში სახელგანთქმული ათლეტებიც კი. ახალგაზრდა და უფროსი თაობების წარმომადგენელთა ეს უკომპრომისო ჭიდილი საქართველოს ჩემპიონატებს მეტად საგულისხმო კოლორიტს ანიჭებდა. იგი წარმოგვიდგებოდა ნაირფერ სპორტულ მოზაიკად, დღესასწაულად, რომელიც ერთნაირად სახალისო და საინტერესო იყო სპორტსმენებისთვისაც და მაყურებლებისთვისაც. ამდენად, რესპუბლიკის ჩემპიონატი ითვლებოდა საუკეთესო სკოლად ახალგაზრდებისთვის, ხოლო საკუთარი უნარის „შინაურ კედლებში" გამოცდის სარბიელად — უკვე აღიარებული ოსტატებისთვის. თაობათა ეს უშუალო ურთიერთობა და, თუ გნებავთ, ჭიდილიც ერთობ სასარგებლო იყო ჩვენი ეროვნული სპორტის განვითარება-დაწინაურებისათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის. ერთდროულად იგი წარმოადგენდა ქართული სპორტის განკარგულებაში არსებული ძალების გენერალურ დათვალიერებასაც.

ესა და სხვა მოსაზრებები გვაფიქრებინებს: რადაც უნდა დაგვიჯდეს, თუნდაც გვიან, მაგრამ მაინც, ეროვნულ ჩემპიონატებს უნდა დავუბრუნოთ ოდინდელი მნიშვნელობა და ელვარება; არამც და არამც არ შეიძლება დავუშვათ, რომ ზოგიერთი სპორტსმენის, მწვრთნელისა თუ სპეციალისტის აბუჩად ასაგდები გახდეს ეს ჭეშმარიტად ღირსეული სპორტული ინსტიტუტი. დღეს ზოგიერთი არცთუ დიდად დაწინაურებული სპორტსმენი საჭიროდ არც კი მიიჩნევს რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობას და, უნდა თუ არა, საქმით მისდევს დასაგმობ ანდაზას: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ფეხმოკიდებულს თითქოს რცხვენია „თავი გაუყადროს" რესპუბლიკის ჩემპიონატს! თვითონვე გვიკვირს, რომ იმ ჩემპიონატის დამცველთა როლში გამოვდივართ, რომელში მონაწილეობაც დიდ პატივად და ღირსებად მიაჩნდათ ქართული სპორტის სწორუპოვარ რაინდებს, მსოფლიო კლასის სპორტსმენებს: დავით ციმაკურიძეს, ვახტანგ ბალავაძეს, ნუგზარ ასათიანს, გურამ კოსტავას, მზია ჯუღელს, რაფაელ ჩიმიშკიანს, ნოდარ ჯორჯიკიას, ოთარ ქორქიას, გურამ მინაშვილსა და სხვებს! ნუთუ საქართველოს ჩემპიონატი მას შემდეგ ისე დაქვეითდა თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით, რომ დღეს საერთაშორისო სარბიელზე ახლადფეხშედგმულ სპორტსმენსაც კი ეზარება (თუ ეთაკილება?) ამ შეჯიბრებაში გამოსვლა? მადლობა ღმერთს, ეროვნული ჩემპიონატისათვის წინანდელი სტატუსი არავის ჩამოურთმევია და მას არც ძველი, მაგრამ მარად აქტუალური მისია დაუკარგავს. ჩემპიონატებს მოაკლდა მხოლოდ და მხოლოდ წინანდელი ელვარება და შესაბამისად — მიმზიდველობაც, რადგან ამ ასპარეზობის სარბიელზე აღარ გამოდიან ჩვენი მაღალი კლასის სპორტსმენები. ამ ფაქტორმა კი, ვგულისხმობთ რესპუბლიკური ჩემპიონატების გაუფასურებას, ზედმიწევნით უარყოფითად იმოქმედა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაზე, ახალი ტალანტების წარმოჩენასა და გამოზრდაზე უფროსი და უმცროსი ასაკის სპორტსმენთა ნაყოფიერ ურთიერთობაზე. რაც მთავარია, ეროვნულ ჩემპიონატებს, ყველა სხვა სიკეთესთან და ღირსებასთან ერთად, წარუვალი აღმზრდელობითი ფუნქციაც ჰქონდა. ეს იყო სკოლა რაინდობისა, სპორტული კეთილშობილებისა როგორც სპორტსმენებისთვის, ისე მაყურებლებისთვის. ისევე, როგორც ნებისმიერ დარგს ესაჭიროება მაღალი კლასის შემსრულებლები თვითგამოხატვისა და საკუთარი პრინციპების პოპულარიზაცია-დამკვიდრებისათვის, რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირებსაც მაღალი კლასის სპორტსმენები სჭირდება. სხვანაირად ეს შეჯიბრებებიც ნაკლებად წაადგება ჩვენ სპორტს.

ვფიქრობთ, ჩვენი ნათქვამი არავითარ ეჭვსა და წინააღმდეგობას არ უნდა აღძრავდეს არც ერთ მკითხველში, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტის ინტერესები. ამიტომ ამ საშურ და გადაუდებელ საქმეს ახლა მაინც უნდა მოვკიდოთ ხელი ისევ და ისევ ჩვენი სპორტის მომავლისათვის.

საქართველოს თასი მძლეოსნობაში

ნახევარფინალში ნახევარი მონდომებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა უმრავლესობა თბილისშია თავმოყრილი. ამიტომაა ისინი რესპუბლიკური თასის ყოველ გათამაშებაში, როგორც წესი, მუდამ რომ იმარჯვებენ. ამ ასპარეზობის ძირითადი დანიშნულება კი ის არის, რომ უნდა გამოავლინოს ქალაქის გუნდი, რომელიც საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზურს მიიღებს. ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა ქალაქების ნაკრებთა ხელმძღვანელებმა, რაკი იციან რომ ამ საგზურისთვის დავაში თბილისელებს მაინც ვერ აჯობებენ, ძლიერი გუნდის დაკომპლექტებისათვის თავს აღარ იწუხებენ. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რაღა საჭიროა ისეთი შეჯიბრების გამართვა, რომელშიც წინდაწინ გამოიცნობ გამარჯვებულსო. არა, საქართველოს თასის გათამაშებას დადებითი მხარე აქვს: საკავშირო თასის ნახევარფინალის წინ თბილისის მძლეოსანთა ნაკრების ხელმძღვანელებს საშუალება ეძლევათ კიდევ ერთხელ შეამოწმონ თავიანთი სპორტსმენების მზადყოფნა, დანარჩენი გუნდების წევრები კი, რომელთაც ხშირი სტარტებით არ ვანებივრებთ, გამოცდილებას იძენენ!

წლევანდელ შეჯიბრებაზე, რომელიც თბილისში, „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა, ეს ამოცანა ნაწილობრივ შესრულდა: საქმე ისაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მძლეოსანი ამჟამად სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო სპარტაკიადაში და ცენტრალური საბჭოების პირველობებში მონაწილეობენ. ამის გამო თასის რესპუბლიკურ გათამაშებას ბევრი მონაწილე მოაკლდა. თუმცა დანარჩენებმა რამდენიმე საყურადღებო შედეგი მაინც აჩვენეს: თბილისელებმა დიმიტრი კალაძემ, ვიაჩესლავ ვასილიევმა და ლევან ბლიაძემ 110 მეტრზე თარჯბენის დისტანცია ასეთივე თანმიმდევრობით დაამთავრეს. კალაძემ 13,8 აჩვენა, ხოლო მეორე და მესამე პრიზიორმა შესაბამისად 14,2 და 14,3. მათი თანაგუნდელი გენადი გოლუბოვი 215 სმ სიმაღლეს გადაევლო, გოჩა ჩადუნელი კი 721 სმ სიგრძეზე გადახტა. სპრინტშიც თბილისელებმა იმარჯვეს: 100 მეტრზე ვიქტორ ივანოვი პირველობდა (10,6), ხოლო ორჯერ უფრო გრძელ მანძილზე — ალი ალიევი (21,2). თბილისელმა ინა კოსორუკოვამ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში (587 სმ), ქუთაისელმა რამაზ ქობულაძემ კი 400 მეტრზე რბენაში (51,0).

თბილისის მძლეოსანთა ნაკრებს, რომელიც საკავშირო თასის ნახევარფინალში მონაწილეობისთვის ემზადება, მალე შეუერთდებიან ის სპორტსმენები, ამჟამად სხვადასხვა შეჯიბრებაზე რომ გამოდიან. ნახევარფინალი ივლისის მიწურულს გაიმართება.

გიგა ლიპარტელიანი.

სურათზე: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ი. კოსორუკოვა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გუნდურშიც, პირადშიც...

ტულაში გაიმართა 1968–70 წლებში დაბადებულთა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ნაკრებმა გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, მესამეზე — ნოვომოსკოვსკელები.

პირად ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან გაიმარჯვეს ხ. დრიაევმა, გ. ივანიშვილმა, გ. კოდოევმა, ნ. ხუნძაყიშვილმა, გ. გახუტელაშვილმა, ა. ჯოხაძემ, მ. იმედაძემ და მ. მამუჩიშვილმა.

მუშკეტერებს მასპინძლობს თბილისი

სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო თამაშები

გუშინ, თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნურ მანეჟში დაიწყო სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფარიკაობაში. ჩვენს დედაქალაქში სულ 400-მდე მუშკეტერმა მოიყარა თავი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, მოსკოველმა ანატოლი გალინიცკიმ ასპარეზობის დაწყებამდე თქვა: „წლევანდელი შეჯიბრება შესამჩნევად წარმომადგენლობითია: მონაწილეთა შორის არიან ედმონტონის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი გიორგი პაიჭაძე, მსოფლიო პირველობის მონაწილე, კიეველი ოლეგ ბრიუსელოვსკი, მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის მონაწილე ტაშკენტელი ნიკოლაი ვასილიევი და ქვეყნის ჩემპიონები და პრიზიორები. ასე რომ, გამოცდილ მუშკეტერთა შორის მეტად მწვავე ბრძოლებია მოსალოდნელი, თუმცა დებიუტანტებიც ეცდებიან თავი გამოიჩინონ, ამიტომ პროგნოზისაგან თავი შევიკავოთ. ერთი რამ ცხადია— რვა დღის განმავლობაში საინტერესო ორთაბრძოლებს ვიხილავთ".

...სარბიელზე პირველნი ხმლით მოფარიკავენი გამოვიდნენ. კარგად აიღეს სტარტი საქართველოს სტუდენტთა ნაკრების წევრებმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გიორგი პაიჭაძემ, თემურ ბოჭორიშვილმა, დავით თურქიამ, ზურაბ გაგნიძემ, დავით ხიტირმა (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ტრავმის გამო პაიჭაძე თითქმის უმოძრაოდ იბრძოდა, მაგრამ ოსტატობას თავისი გაჰქონდა და გიორგი ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა. წინასწარი 13 ორთაბრძოლიდან მან მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო მოსკოველ ალექსანდრე კუზნეცოვთან, მაგრამ მუხლის ტრავმამ თავისი გაიტანა და ასპარეზობა ველარ განაგრძო. თურქიამ 12 შეხვედრა დაამთავრა გამარჯვებით. ბოჭორიშვილმა თერთმეტჯერ გაიმარჯვა, გაგნიძემ — რვაჯერ. სამივე სპორტსმენმა ნახევარფინალის საგზური გაინაღდა.

გუშინ საღამოს ნახევარფინალში წარმატებით იასპარეზეს თურქიამ და ბოჭორიშვილმა. ფინალში თურქიამ გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ლენინგრადელი ალექსანდრე ხაიგონი (10:8) და სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა. ბოჭორიშვილმა კი მესამე ადგილისათვის დავაში სძლია უკრაინელ იური კუზნეცოვს (13:11).

რეპლიკა

დახმარების მოლოდინში

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველმა წრემ რეგბის ქართველ გულშემატკივრებში ორი ურთიერთსაპირისპირო ემოცია გამოიწვია, რისი მიზეზიც ჩვენი გუნდების — ქუთაისის „სახლმშენისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ სრულიად განსხვავებული თამაში იყო. ქუთაისელებმა მოსკოვში, უმაღლესი ლიგის 12 გუნდის ასპარეზობაში 6 შეხვედრიდან 5 მოიგეს და სატურნირო ცხრილში მეშვიდედამ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლეს, თბილისელმა რეგბისტებმა კი პირდაპირ უსუსურად ჩაატარეს ყველა შეხვედრა. „ლოკომოტივი“ ვერ მოხვდა იმ რვა უძლიერეს გუნდში, რომლებიც ახლანდელ ეტაპზე ქვეყნის პირველობისთვის იბრძვიან.

ცხადია, „ლოკომოტივის“ ამგვარი წარუმატებლობა არ არის შემთხვევითი, მაგრამ დღევანდელ რეპლიკაში ამ მარცხის მიზეზების ჩამოთვლა საჭიროდ არ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ უახლოეს დღეებში ჩვენი გაზეთი ფართოდ აპირებს მათზე მსჯელობას.

ამჯერად მხოლოდ ერთი რამ უნდა ვთქვათ: გუნდს, რომელსაც არა აქვს სავარჯიშო მინდორი, რიგიანი გასახდელი, საშხაპე (სადაც, წესით, ცხელი წყალი უნდა მოდიოდეს), სათამაშო ფორმა და ყველა დანარჩენი, ურომლისოდაც მესანიშნავად აღჭურვილ გუნდებთან ასპარეზობა ყოვლად წარმოუდგენელია, წარმატებაზე ოცნებაც არ შეუძლია.

ელემენტარული პირობების უქონლობა, ცხადია, ცუდად მოქმედებს მოთამაშეთა მორალურ-ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე და ამ ფაქტორმა ჩემპიონატის პირველივე მატჩებში იჩინა თავი — უკვალოდ გაქრა ის ვაჟკაცური გაუტეხლობა, შემართება და ენთუზიაზმი, რაც ასე ახასიათებდა წარსულში ქართულ რეგბის. გუნდში, ფაქტიურად, აღარ არის ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი, კრიტიკულ მომენტში ხელში რომ აიღებს თამაშის სადავეებს და კოლექტივს გამარჯვებისკენ გაუძღვება. რესპუბლიკის ზოგიერთი წამყვანი რეგბისტი, გასაგები მიზეზების გამო, თავს არიდებს „ლოკომოტივში“ თამაშს და თვალი სხვა გუნდისკენ უჭირავს.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში ძნელია კოლექტივის მონოლითურობაზე ფიქრი და, მით უმეტეს, ზრუნვა....

ახლა თბილისის „ლოკომოტივს“ კრიტიკული მომ[illegible] მალე დაიწყება ჩემპიონატის II წრე, რომელმაც უმაღლეს ლიგაში გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. სწორედ ახლა, ამ განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში სჭირდება მას დახმარება ყველასგან, ვისაც ეს საქმე აბარია, განსაკუთრებით კი „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოსაგან, რეგბის ფედერაციისაგან. უნდა გვახსოვდეს, რომ უმაღლეს ლიგაში რის ვაი-ვაგლახით გადასული გუნდების დაკარგვის უფლება ჩვენ არა გვაქვს. დიახ, არა გვაქვს და ჯობს დროით მივხედოთ ამ საქმეს, თორემ მერე გვიან იქნება.

ექსპედიცია მეორე: „სოჰარი“

იმ ზღაპრულ პერსონაჟთა შორის, რომელთა სახეები და სახელები ბავშვობიდან გვახსოვს, სინდბადი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია. ამ სახელის ხსენებაზე ამერიკული სათავგადასავლო ფილმები „სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა“ და „სინდბადის ოქროს მოგზაურობა“ დაგვიდგება თვალწინ. ისიც ვიცით, რომ ზღაპრები სინდბადის შვიდი მოგზაურობის შესახებ „ათას ერთი ღამის“ შემადგენელი ნაწილია.

მეცნიერთა ვარაუდით, ამ ზღაპრებში ასახული უნდა იყოს არაბ ზღვაოსანთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ხოლო თავად სინდბადი თუ მთლად რეალურ პიროვნებად არა, კრებსით ისტორიულ სახედ მაინც უნდა ჩაითვალოს.

ტიმ სევერინი ჯერ კიდევ „ბრენდანის“ ექსპედიციამდე დაინტერესდა არაბული ზღვაოსნობით, კერძოდ იმით, თუ რამდენად ისტორიული, გნებავთ, რამდენად შესაძლებელი იყო სინდბადის მოგზაურობები.

არაბ ზღვაოსანთა სავაჭრო გზები VII-XIV საუკუნეებში ინდოეთის ოკეანის დიდ ნაწილს მოიცავდა. ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არაბთა ხომალდები დადიოდნენ ინდოეთში, ჩინეთში, იავაზე, სუმატრაზე, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მადაგასკარზე. უფრო გვიან ცნობილი სახმელეთო „დიდი საბრეშუმო გზის“ პარალელურად არაბმა ზღვაოსნებმა საზღვაო „საბრეშუმო“ გზაც გაიყვანეს და თუ აღმოსავლელ ვაჭართა ქარავანი ჩინეთიდან წინა აზიისაკენ შუა აზიისა და საქართველოს გავლით მიდიოდა, არაბი ზღვაოსნები აბრეშუმითა და სხვა საქონლით დატვირთულ ხომალდებს ოსტატურად მიაცურებდნენ სამხრეთ ჩინეთიდან სპარსეთის ყურეში ინდოჩინეთისა და ინდოსტანის ნახევარკუნძულების შემოვლით. არაბებს აღმოსავლეთში აბრეშუმის გარდა სხვა სიმდიდრეც იზიდავდა: ბრილიანტი და ფაიფური, ამბრი და დარიჩინი, ქაღალდი და მრავალი სხვა.

ისტორიკოსები თვლიან, რომ ათას ერთი ღამის ზღაპრებში სწორედ არაბთა ეს ნაოსნობებია ასახული. სპეციალისტების თვალსაზრისით, არაბ მეზღვაურთა ნაამბობი სინდბადის მოგზაურობათა შესახებ ჯერ ცალკე არსებობდა, შემდეგ კი „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში გაერთიანდა.

ტიმ სევერინი სინდბადის მოგზაურობათა ამსახველი ზღაპრების საფუძვლიანი ანალიზის გზით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზღაპრებში მოთხრობილ ამბებს რეალური საფუძველი აქვს და რომ მათში არეკლილია არაბ ზღვაოსანთა ნაოსნობის ხანგრძლივი ისტორია. დიახ, ჯერ ანალიზი და შემდეგ — დასკვნა და არა პირიქით, როგორც წერს ვ. ვოიტოვი ტიმ სევერინის წიგნის — „მოგზაურობა ბრენდანით“ — ბოლოსიტყვაობაში: „ცნობილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ი. ი. კრაჩკოვსკი აღნიშნავს, რომ დღეს არ შეიძლება „სინდბადის მოგზაურობას“ შევხედოთ, როგორც ჯადოსნურ ზღაპარს, რომლის მოქმედება დროისა და სივრცის გარეშე ვითარდება. გაიზიარა რა ეს თვალსაზრისი, ტიმ სევერინმა ჩაატარა ამ ზღაპრის გეოგრაფიული ანალიზი და აღმოაჩინა ღრმა კავშირი ათასი წლის წინანდელ მოვლენებთან“.

რა თქმა უნდა, ანალიზისა და მეცნიერული კვლევის დროს ტიმ სევერინი — თავად თვალსაჩინო მეცნიერი — ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა შრომებსა და შეხედულებებს. გამორიცხული არ არის, რომ იგი აკადემიკოსი ი. კრაჩკოვსკის თვალსაზრისსაც იცნობდა, მაგრამ ვ. ვოიტოვის ციტირებული განცხადება, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილოა. თავად ტიმ სევერინი წერს: „რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი ლეგენდებს სინდბადის შესახებ, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ იგი არ იყო მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი. იგი უფრო განზოგადებული სახე, ამალგამაა არაბი კაპიტნებისა და ვაჭრებისა, რომლებიც VIII-XI საუკუნეებში — არაბული ზღვაოსნობის ოქროს ხანაში ბედავდნენ გასულიყვნენ მათთვის ცნობილი სამყაროს ფარგლებს გარეთ. ვოცნებობდი რა აღმედგინა სინდბადის მოგზაურობა, გადავწყვიტე ამეგო არაბული სავაჭრო ხომალდის ასლი და გამემეორებინა მარშრუტი, რომელიც არაბული ზღვაოსნობის უმაღლესი მიღწევა იყო — ექვსი ათასმილიანი მარშრუტი ომანიდან ჩინეთის ნაპირებამდე. მე ვიმედოვნებდი, რომ ეს ექსპერიმენტი — ნაბიჯი ათასი წლით უკან — დამეხმარებოდა გამეგო, როგორ აშენებდნენ ძველი არაბები ხომალდებს, როგორ დაცურავდნენ ამ ხომალდებით, როგორ იკვლევდნენ გზას ღია ზღვაში და ბოლოს, როგორ გაჩნდა ზღაპრები სინდბადის მოგზაურობათა შესახებ“.

ტიმ სევერინი:

დიახ!

ტიმ სევერინიც, ბევრი მეცნიერის მსგავსად, ასკვნის, რომ, „სინდბადის შვიდი მოგზაურობა“ ზღაპრული, მითიური ფორმით აღწერს არაბთა ნაოსნობას აღმოსავლეთის განძეულის საძიებლად, რასაც სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონოდა. „ათას ერთი ღამის“ დაკვირვებული მკითხველი სერენდიბის ქვეყანაში დღევანდელ შრი-ლანკას შეიცნობს, ზაბაგში — სუმატრას, ჩამპეში — ვიეტნამის სანაპიროს, მიჰრაჯანის კუნძულებში კი — მალაის არქიპელაგს; ხოლო ჰინდი და სინი რომ ინდოეთი და ჩინეთია, ამას ზერელე მკითხველიც ადვილად დაასკვნის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაბულ აღმოსავლეთში სინდბადის ისტორიულობა საყოველთაოდ არის აღიარებული. ლეგენდებისა და ზღაპრების კვალდაკვალ, თანამედროვე ისტორიული გამოკვლევებიც კი ზუსტად მიუთითებენ, რომ სინდბადის სამშობლო ომანის ქალაქი სოჰარი იყო.

ისტორიული ომანი არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთში მდებარეობდა. მას სამი მხრიდან ზღვა ეკრა. სპარსეთის ყურე, ომანის ყურე და არაბეთის ზღვა. დღეს ამ ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოა — ომანის სასულთნო და არაბთა გაერთიანებული ემირატები. ოდესღაც დიდი სავაჭრო პორტი სოჰარი დღეს ომანის პატარა, უმნიშვნელო ნავსადგურია, სახელი კი იგივე ჰქვია (თუმცა ზოგიერთ ატლასსა და ცნობარში ოდნავ შეცვლილი ფორმით — სუჰარად მოიხსენიება).

ტიმ სევერინმა თავის მომავალ ხომალდს სწორედ „სოჰარი“ უწოდა. ეს მანამდე, სანამ დაადგინდა, კერძოდ როგორი ტიპისა უნდა ყოფილიყო იგი. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ სევერინი საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. თუ „ბრენდანით“ მოგზაურობის დაწყებამდე ყველაფერი ნათელი იყო და სევერინს ასარჩევი თუ გადასაწყვეტი არაფერი ჰქონდა, რადგან არსებობდა ირლანდიური ტყავის ნავის საკმაოდ ზუსტი აღწერილობა და დღემდე შემორჩენილი მისი ანალოგები, ძველი არაბული ხომალდის ასლის ასაგებად, პირველ ყოვლისა, ტიპის არჩევა იყო საჭირო. ცნობილია, რომ არაბი ზღვაოსნები სხვადასხვა ზომისა და ტიპის ხომალდებს აგებდნენ. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ არაბი გემთმშენებლები არ სარგებლობდნენ ნახაზებითა თუ ნახატებით და ხომალდთა აგების ხელოვნება თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა. ბოლოს და ბოლოს სევერინმა არჩევანი ბუმზე შეაჩერა. ბუმი საკმაოდ მოზრდილი აფრებიანი ხომალდია სწორი ცხვირითა და კიჩოთი. სრულიად შემთხვევით, თუკი შეიძლება შემთხვევითი ეწოდოს, ხანგრძლივი ძიების ნაყოფს, სევერინი ინდოეთის ოკეანის 1521 წლის პორტუგალიურ რუკაზე წააწყდა ძველებური ბუმის საკმაოდ დეტალურ გამოსახულებას, რომელიც საფუძვლად დაუდო „სოჰარს“.

„სოჰარის“ შენება დაიწყეს 1980 წლის 1 იანვარს ომანის ქალაქ სურის გემთსაშენში. ხომალდის ასაგებად საჭირო ხე-ტყე სევერინმა ინდოეთიდან ჩაზიდა ომანში. 18-მეტრიანი გროტ-ანძისათვის ქალაქ ბაიპურის შემოგარენიდან ვარდის ხის მთლიანი ტანი წამოიღეს. ინდოეთიდანვე ჩაიტანეს სურში ბამბუკი. ამ ბამბუკისგან არაბი გემთმშენებლები ლურსმნებს ამზადებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ზღვის ფსკერზე, არსებული ძლიერი მაგნიტები რკინის ლურსმნებს მიიზიდავდა და გემის კორპუსი დაიშლებოდა.

გემის მშენებელი ოსტატები სევერინმა კუნძულ აგატიზე იპოვა. მათ შემოინახათ ძველებური არაბული ხომალდების აგების ხელოვნება. ამავე კუნძულზე შეიძინა სევერინმა 700 კილომეტრი ქოქოსის ბოჭკო, რომლისგანაც შემდეგ ბაგირები დაგრიხეს.

1980 წლის აგვისტოში „სოჰარი“ წყალში ჩაუშვეს და მასკატში წაიყვანეს ბუქსირით. „სოჰარის“ სიგრძე 26,5 მეტრი იყო. მას ჰქონდა ორი ანძა (გროტი და ბიზანი) და სამი იალქანი (გროტი, ბიზანი და კლივერი).

იმავე წლის 23 ნოემბერს გაცილების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ კაპიტან სევერინის ბრძანებით „სოჰარზე“ სამივე იალქანი აღმართეს და ხომალდმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აიღო კურსი. „მერვე, მოგზაურობა უსინდბადოდ“ — ასეთი მოხდენილი სახელი უწოდა ჟურნალისტმა ვიტალი ბაბენკომ ტიმ სევერინის მეორე ესპედიციას. ვინაიდან სევერინის მეორე წიგნი რუსულად ჯერ გამოცემული არ არის, ხოლო მის ინგლისურ გამოცემაზე ხელი არ მიგვიწვდა, „სოჰარის“ ექსპედიციის აღწერისას ძირითადად სწორედ ვიტალი ბაბენკოს ნარკვევით ვისარგებლეთ.

„სოჰარის“ ეკიპაჟში სევერინის გარდა 18 კაცი იყო: რვა ომანელი, ერთი ბელუჯი და ათი ევროპელი — სამი საზღვაო ბიოლოგი, ორი აკვალანგისტი, რადისტი, კინოოპერატორი, ფოტოგრაფი და მხატვარი. ამათგან მხოლოდ ერთი — ფარერელი მხატვარი ტონდურ პატურსონი მონაწილეობდა წინა — „ბრენდანის“ ექსპედიციაში.

პაატა ნაცვლიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 121, 124, 125.

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ გვიპასუხოთ, საქართველოს მოჭიდავეთაგან ვინ და რომელ წლებში იყვნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები?

ნუგზარ გაბაშელი,
IX კლასის მოსწავლე, თბილისი.

ძვირფასო ნუგზარ! ჭიდაობა ოთხ სხვადასხვა სახეს გულისხმობს. ამიტომ, როცა შეკითხვას გვაძლევთ, კონკრეტულად უნდა განმარტოთ, რომელი სახეობა გაინტერესებთ. ეს მომავლისთვის მხედველობაში იქონიეთ.

კლასიკური ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონები: გივი კარტოზია (1953, 1955, 1958 წ.წ.), როსტომ აბაშიძე (1958, 1962, 1963 წ.წ.), ავთანდილ ქორიძე (1961 წ.), რომან რურუა (1966, 1967, 1969, 1970 წ.წ.), ვახტანგ ბლაგიძე (1978, 1981 წწ.), მიხეილ სალაძე (1981 წ.), თეიმურაზ ყაზარაშვილი (1982 წ.), თეიმურაზ აფხაზავა (1982, 1983 წწ.); **ოლიმპიური ჩემპიონები:** გივი კარტოზია (1956 წ.), ავთანდილ ქორიძე (1960 წ.), რომან რურუა (1968 წ.), ვახტანგ ბლაგიძე (1980 წ.); **ევროპის ჩემპიონები:** ომარ ბლიაძე (1968 წ.), შოთა მორჩილაძე (1974 წ.), ვახტანგ ბლაგიძე (1978, 1980 წწ.), თეიმურაზ აფხაზავა (1983, 1984 წწ.).

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონები: ვახტანგ ბალავაძე (1954, 1957 წწ.), გიორგი სხირტლაძე (1959 წ.), ვლადიმერ რუბაშვილი (1961 წ.), გურამ სალარაძე (1963, 1965 წწ.), ზარიბეგ ბერიაშვილი (1969 წ.), შოთა ლომიძე (1969, 1971 წწ.), ლევან თედიაშვილი (1971, 1973, 1974, 1975 წწ.); **ოლიმპიური ჩემპიონები:** დავით ციმაკურიძე (1952 წ.), მირიან ცალქალამანიძე (1956 წ.), ლევან თედიაშვილი (1972, 1976 წწ.); **ევროპის ჩემპიონები:** ზარიბეგ ბერიაშვილი (1966, 1967, 1970 წწ.), შოთა ლომიძე (1966, 1969 წწ.), ანდრო ცხოვრებოვი (1968 წ.), ნოდარ მოდებაძე (1973 წ.), ლევან თედიაშვილი (1974, 1976, 1978 წწ.), რამ ხუტაბა (1982 წ.), სიაში არ შეგვიყვანია ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი, რომელიც აღნიშნულ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა და ყველა შეჯიბრებაში ამ ქალაქის სახელით გამოდიოდა.

ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონი: თეიმურაზ ხუბულური (1979, 1981 წწ.), **ოლიმპიური ჩემპიონები:** შოთა ჩოჩიშვილი (1972 წ.), შოთა ხაბარელი (1980 წ.); **ევროპის ჩემპიონები:** ანზორ კიკნაძე (1962, 1964, 1965, 1966 წწ), ანზორ ქიბროწაშვილი (1962, 1965 წწ.), ანზორ მარტყოფლიშვილი (1968 წ.), როინ მაღალთაძე (1968 წ.), გივი ონაშვილი (1974, 1975 წწ.), ჯიბილო ნიჟარაძე (1975 წ.), თეიმურაზ ხუბულური (1976, 1979 წწ.), დავით ბოდაველი (1981 წ.), თამაზ ნამგალაური (1984 წ.).

სამბო. მსოფლიო ჩემპიონები: გენადი გიორგაძე (1973 წ.), ლევან თედიაშვილი (1973 წ.), იოსებ მალალაშვილი (1974 წ.), სერგეი ტერნოვიხი (1984 წ.), ევროპის ჩემპიონი ჭიდაობის ამ სახეობაში ჩვენს რესპუბლიკას არა ჰყავს.

ჭაბუკებში, გოგონებში, იუნიორებში

დამთავრდა საქართველოს პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში ჭაბუკთა და იუნიორთა შორის. საერთო-გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო „განთიადის“ ნაკრები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „შრომითი რეზერვებისა“ და „დინამოს“ ველოსიპედისტები.

პირად ჩათვლაში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს: 80 კმ ჯგუფურ შეჯიბრებაში — ალექსანდრე სვეტნიკოვმა („განთიადი“) — 2:16.15; 50 კმ. რბოლაში — „შრომითი რეზერვების“ პირველმა გუნდმა (ალექსანდრე სკლიაროვი, იმედო მოდებაძე, ელდარ ჩოჩელი, ვიაჩესლავ სმირნოვი) — 1:12.38; გოგონათა ინდივიდუალურ რბოლაში საერთო სტარტით — სვეტლანა როზენბერგმა („სპარტაკი“) — 52.41; იუნიორთა ჯგუფურ და გუნდურ ასპარეზობაში — სპარტაკელმა ნუგზარ თევდორაძემ — 3:16.20 (120 კილომეტრზე) და „განთიადის“ ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით: ხვიჩა კუპატაძე, ნორიკ ერომიანი, ომარ მეგენეშვილი და ავთანდილ წოწორია — 1:49,01 (75 კმ).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სახეობებში სპორტსაზოგადოებებმა ვერ შეძლეს გუნდის გამოყვანა. ეს მოწმობს, რომ ველოსპორტის მასობრივ განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საყვედურს იმსახურებენ „ლოკომოტივის“ ველოსპორტის მესვეურნიც. ამ დიდი ტრადიციების მქონე სპორტსაზოგადოებამ გუნდის გამოყვანა ვერ მოახერხა.

ანზორ ჟიჟინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ყველა ფინალი სენსაციაა?

სენსაცია. ჟურნალისტებს მეტისმეტად უყვართ ამ სიტყვის ხმარება და ცდილობენ, სადაც საშუალება მიეცემათ, ხელიდან არ გაუშვან მისი მოშველიების შესაძლებლობა. მაგრამ ამჯერად სათაურში ამ სიტყვის გამოტანა არც ჟურნალისტური ჩვეულების ბრალია და არც რაიმე ტრადიციისადმი ხარკის მოხდა. უბრალოდ, დღევანდელ წერილში საუბარი გვექნება საფრანგეთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების ყოვლად უღიმღამო გამოსვლაზე, რაც უცხოეთის მრავალმა გამოცემამ ევროპის პირველობის ყველაზე დიდ სენსაციად მონათლა.

მართლაც სენსაცია იყო თუ არა დასავლეთგერმანელთა ესოდენ უგერგილო, უხერხემლო, თუ გნებავთ, უკბილო თამაში? ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, იყო. გფრ-ის ნაკრებმა ხომ რა ხანია ყველა მიგვაჩვია იმას, რომ მისგან მხოლოდ-დამხოლოდ გამარჯვებას, ოქროს მედლებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საპრიზო ადგილს მოელიან. საკმარისია გავიხსენოთ ამ კოლექტივის მიერ უკანასკნელ თორმეტ წელიწადში მოპოვებული წარმატებები, რომ ნათელი გახდება, რატომ იქცა სრულიად ბუნებრივ ამბად დასავლეთგერმანელთა ყოველი მოგება, ამა თუ იმ შეჯიბრებაში დაკავებული ყოველი I ადგილი: 1972 და 1980 წლებში გფრ-ის ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა, 1974 წელს — მსოფლიო ჩემპიონისა, 1976-ში — კონტინენტის პირველობის ვერცხლის მედლები დაისაკუთრა, ხოლო 1982-ში ასეთსავე წარმატებას მიაღწია მსოფლიო ჩემპიონატში. გუნდის ძველ მიღწევებს რომ თავი დავანებოთ, ეს სიაც თითქოს სავსებით საკმარისია საფრანგეთში მისი წარუმატებელი თამაშის სენსაციად მოსანათლავად.

მაგრამ აბა გავიხსენოთ დასავლეთგერმანელთა შედეგები ევროპის პირველობის VI შესარჩევ ჯგუფში, სადაც მათ მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით დაიკავეს I ადგილი. გავიხსენოთ ისიც, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა შესარჩევ ასპარეზობაში ორჯერ დაამარცხა გფრ-ის გუნდი, ხოლო ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ შეხვედრაში (ბოლო წუთებზე) ძლივს გატეხა ალბანეთის საკმაოდ სუსტი კოლექტივის წინააღმდეგობა, მაშინ დერვალი და მისი ფეხბურთელები ბეწვზე გადარჩნენ, მაგრამ ფინალური ტურნირის საგზური მოპოვებული იყო, რამაც თამაშის ხარისხი და ერთობ არადამაჯერებელი გამოსვლა თითქოს უკანა პლანზე გადასწია.

მიუხედავად მოპოვებული ვერცხლის მედლებისა, გფრ-ის ეროვნული გუნდი არც 1982 წელს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრწყინავდა. ცალკეულ მატჩებს, ან უკეთ — მატჩების ცალკეულ მონაკვეთებს თუ არ ჩავთვლით, ეს იყო საკმაოდ საშუალო გუნდი, რომელსაც ფორტუნა (ეტყობა, დასავლეთგერმანელთა ძველი წარმატებები ახსოვდა) ხელგაშლილად მოექცა. 1982 წლიდან მოყოლებული, გფრ-ის ნაკრები არც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში გამოირჩეოდა თამაშის მაღალი დონით (თუმცა, გამონაკლისები ცხადია, აქაც იყო).

თუ ყოველივე ზემოთქმული გარკვეულ დრომდე მხოლოდ ეროვნულ ნაკრებს ეხებოდა, წლევანდელ სეზონში გაირკვა, რომ დასავლეთგერმანულ ფეხბურთში არსებულ კრიზისს ბევრად უფრო ღრმა ფესვები ჰქონია გამდგარი, ვიდრე გვეგონა. ვგულისხმობთ ევროპის საკლუბო ტურნირებში ამ ქვეყნის საუკეთესო გუნდების უაღრესად სუსტ თამაშს, რაც მატერიალურადაც გამოიხატა: მეოთხედფინალურ სტადიაში გფრ-ის ყველა კლუბს უკვე დაყრილი ჰქონდა ფარ-ხმალი.

ამ ფაქტების გათვალისწინებით თითქოს მზად უნდა ვყოფილიყავით რუმენიგესა და კომპანიის წარუმატებელი გამოსვლისთვის, მაგრამ პარადოქსული ის იყო, რომ გფრ-ის ნაკრები ამჯერადაც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა კი გაუგებარია, რა მაჩვენებლების ხარჯზე.

საბჭოთა ჟურნალისტებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატს ვესწრებოდით, სამწუხაროდ, საშუალება არ მოგვეცა გვენახა ასპარეზობის პირველი ტურის მატჩები. ამიტომ, 14 ივნისს გამართულ გფრ-ისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების შეხვედრაზე უმჯობესია ამ კოლექტივების მწვრთნელთა მოსაზრებებს მოვუსმინოთ.

ფერნანდო კაბრიტა (პორტუგალია): „დასახული გეგმა შევასრულეთ — ფრეს მივაღწიეთ, რაც იმას მოწმობს, რომ ჩვენმა დაცვითმა ტაქტიკამ გაამართლა. მაგრამ თუ პირველ ტაიმში უფრო მეტად მოვლენების მსვლელობას მივყვებოდით, შესვენების შემდეგ შეტევაზე გადავედით და მაყურებელს კოლექტიური თამაშის ძალა ვუჩვენეთ. ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ. თუმცა უნდა ითქვას, სანახაობრივად ეს მატჩი არ იყო მაინცდამაინც მიმზიდველი. მომქანცველი სეზონის მერე ორივე გუნდის წევრებს გაუჭირდათ სიცხეში თამაში".

იუპ დერვალი (გფრ): „ქედს ვიხრი პორტუგალიელთა წინაშე — მათ მართლაც კარგად ითამაშეს. მხოლოდ დაცვის საიმედო მოქმედების შედეგად შევძელით მშრალი ანგარიშის შენარჩუნება. თუმცა ამ შედეგს ჩვენთვის დიდი სიხარული არ მოუტანია, მატჩის მსვლელობას თუ გავითვალისწინებთ, იგი სავსებით სამართლიანია. ჩვენმა გუნდმა, თუ ნახევარფინალში მონაწილეობა სურს, მკვეთრად უნდა უმატოს თამაშს, კერძოდ — მოედნის შუაგულში. ამჟამად სწორედ ეს რგოლია ჩვენი მთავარი სისუსტე. უკმაყოფილო ვარ რუმენიგეთი, რომელიც ნახევარმცველებს სათანადოდ ვერ ეხმარებოდა".

არა გვგონია, დერვალი სამი დღის შემდეგ რუმინელებთან გამართულ შეხვედრას დაეკმაყოფილებინა. ეს მატჩი, თუმცა იგი დასავლეთგერმანელებმა მოიგეს (2:1), ვერ გამოდგა (როგორც ბევრი ელოდა) მათი უპირატესობის დემონსტრაცია, ის კი არა, რუმინელი ფეხბურთელები რამდენიმეჯერ ახლოს იყვნენ მიზანთან, ბოლო წუთზე კი შუმახერმა რის ვაი-ვაგლახით კუთხურზე მოიგერია ბოლონის მიერ ცხრიანში დარტყმული ბურთი. მანამდე ალოფსის დარტყმას ასევე ცხრიანთან გადაუღობა გზა რუმინელთა მეკარე ლუნგმა.

ასეა თუ ისე, გფრ-ის ნაკრებმა ეს მატჩი მოიგო და ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ თამაშზე დამშვიდებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული გამოვიდა. მაგრამ სანამ ესპანელებთან გამართულ შეხვედრას უფრო დაწვრილებით შევეხებოდეთ, შევახსენებთ ევროპის ჩემპიონატში ამ მომენტისთვის შექმნილ მდგომარეობას. წინა დღით გამართულმა მატჩებმა გამოავლინა გათამაშების ორი ნახევარფინალისტი — საფრანგეთისა და დანიის ნაკრები გუნდები. მასპინძლებმა I ჯგუფში I ადგილი დაიკავეს და ახლა II ჯგუფში II ადგილზე გასულ გუნდს უნდა შეხვედროდნენ (ეს მატჩი მარსელში იყო დანიშნული), დანიელებს კი ლიონში II ჯგუფში გამარჯვებულ კოლექტივთან უხდებოდათ ურთიერთობის გარკვევა. სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავდა ის გარემოება, რომ ბოლო ტურის წინ ნახევარფინალში გასვლის იმედი II ჯგუფის არც ერთ წევრს არ ჰქონდა გადაწურული.

ესპანელებთან მატჩის წინ იუპ დერვალმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენს ჯგუფში I ადგილი დავიკავოთ. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ მარსელის პაპანაქება სიცხეში მოგვიწევს თამაში, რაც სრულებით არ მსურს". ამ სიტყვებს პარიზის „ეკიპმა" ირონიული კომენტარი გაუკეთა: „როგორც ჩანს, მუსიე (დერვალს სიცხის უფრო ეშინია, ვიდრე საფრანგეთის ნაკრებისა".

რას იფიქრებდა დერვალი, რომ მისი გუნდი საერთოდ ნახევარფინალის მიღმა დარჩებოდა — ვერც მარსელის პაპანაქებას გამოცდიდა და ვერც ლიონის სიგრილეს. ფორტუნამ (ალბათ მოთმინების ფიალა აევსო) ამჯერად ზურგი შეაქცია დასავლეთგერმანელებს. პირველ 27 წუთში ესპანელთა კარი სამჯერ იხსნა ძელმა — ორჯერ (მე-3 და 21-ე წუთებზე) ბრიგელის თავური დარტყმების შემდეგ, 27-ე წუთზე, კი ბრემეს ძლიერად დარტყმულ ბურთს თითის წვერებით შეწვდა არკონადა, შემდეგ — ძელი და კუთხური. საერთოდ, არკონადამ ბრწყინვალედ ჩაატარა ეს მატჩი, რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი კარი და საყოველთაო აღიარებით, თავისი გუნდის საბოლოო წარმატება განაპირობა. მატჩის გმირად ჟურნალისტებმა არკონადასთან ერთად ცენტრალური მცველი მასედაც მიიჩნიეს. თამაშის ბოლო, 90-ე წუთზე სწორედ ამ ათლეტური აღნაგობის ფეხბურთელმა გაიტანა გამარჯვების გოლი, რომელმაც ნახევარფინალის საგზური მოუტანა მის გუნდს. მასედას თავური დარტყმა უნაკლო იყო — შუმახერი თითის წვერებით შეეხო ბურთს, მისი შეჩერება კი ვეღარ შეძლო. თუმცა ეს გოლი მასედას ოსტატური მოქმედების შედეგი იყო, მასში დასავლეთგერმანელთა მცველებსაც მიუძღვით ბრალი. საქმე ის არის, რომ მასედამ მატჩის მსვლელობაში რამდენიმეჯერ უჩვენა მაყურებელს თავით თამაშის ხელოვნება, 68-ე წუთზე კი მისი თავურის შემდეგ შტილიკემ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. აღსანიშნავია ისიც, რომ I ტაიმის მიწურულს შუმახერმა მოიგერია კარასკოს მიერ დარტყმული პენალტი, რომელიც მსაჯს შტილიკემ დაანიშვნინა (სალვა მოცელა). შეხვედრის ულამაზესი და ალბათ ყველაზე დრამატული მონაკვეთი იყო მისი ბოლო 15 წუთი. ამ პერიოდში ორივე კართან ზედიზედ იქმნებოდა საგოლე მომენტები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლით: 78-ე წთ. რუმენიგემ კარგად ითამაშა მეტოქის საჯარიმოში, კარგადაც დაარტყა, მაგრამ არკონადამ კუთხურზე მოიგერია ბურთი; 82-ე წთ. შუმახერი იგერიებს გალიეგოს დარტყმას; 85-ე წთ. ისევ შუმახერი თამაშობს შესანიშნავად — სენიორის დარტყმულ ბურთს ულობავს გზას; 86-ე წთ. მათეუსი 25 მეტრიდან ძლიერად ურტყამს — ბრწყინვალედ თამაშობს არკონადა; 86-ე წთ. ალოფსი ხელიდან უშვებს გოლის გატანის ასპროცენტიან შესაძლებლობას — 10 მეტრიდან დარტყმული ბურთი გარედან ხვდება კარის ბადეს. ყოველივე ამას მოჰყვა მასედას გოლი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.

ასე ნაადრევად დამთავრდა დასავლეთგერმანელთა „გასტროლები" საფრანგეთის მიწაზე. ცალკეულ მონაკვეთებში კარგად თამაშობდნენ გუნდის სხვადასხვა წევრები (ალოფსი, მაიერი, ბრემე, ფიოლერი, ბრიგელი), მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი წარმატების მოსაპოვებლად. ყველასათვის მოულოდნელი იყო რუმენიგეს სუსტი თამაში, რომელიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელის გიუნტერ ნეცერის თქმით, „მილანის „ინტერთან" თავის ახალ კონტრაქტზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე თამაშზე". საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა ნაკრების ლიბერო შტილიკეც. ერთადერთი მოთამაშე, ვინც მხოლოდ ქების სიტყვები დაიმსახურა, გახლდათ მეკარე შუმახერი, რომელიც ჟურნალისტებმა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

დასავლეთ გერმანიის ნაკრების ტურნირიდან გამოთიშვას მოჰყვა ეროვნული გუნდის მწვრთნელის იუპ დერვალის გადადგომა. 1980 წელს გფრ-ის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1982-ში კი მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. მწვრთნელის პოსტზე დერვალის მუშაობის მანძილზე გუნდმა ჩაატარა 67 მატჩი, რომელთაგან 45 მოიგო, 11 ფრედ დამთავრა და 11 წააგო. თითქოს სულაც არ არის ურიგო მაჩვენებელი, მაგრამ დასავლეთგერმანელი გულშემატკივრები და სპეციალისტები უფრო დიდ წარმატებებს არიან მიჩვეული. თუმცა ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ მდგომარეობას ვერც დერვალის წასვლა იხსნის. დასავლეთ ბერლინის გაზეთი „დი ვარჰაიტი" წერს, „საქმე ის კი არ არის, ერთ კაცს გადააბრალო ამა თუ იმ გუნდის წარუმატებლობა, გაცილებით უფრო ვაჟკაცური იქნება ვაღიაროთ, რომ ჩვენი ფეხბურთი მოიცვა ღრმა კრიზისმა, რომელიც სპორტის ამ სახეობის მეტისმეტმა გაკომერციულებამ გამოიწვია".

ახლა დერვალის [illegible] დროებით დაინიშნა 39 წლის ფრანც ბეკენბაუერი. მართალია, მას არა აქვს მწვრთნელისათვის აუცილებელი ლიცენზია, მაგრამ ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მას ფორმალურად სხვა თანამდებობა მოუგონა — ტექნიკური მრჩეველი. ბეკენბაუერი მუშაობას შეუდგება 15 ივლისს და ალბათ 1985 წლის ზაფხულამდე დარჩება ამ პოსტზე. მერე კი მას შეცვლის გრფ-ის ჩემპიონის „შტუტგარტის" მწვრთნელი ჰელმუტ ბენტჰაუსი, რომლის კონტრაქტს ამ კლუბთან სწორედ ერთ წელიწადში გაუდის ვადა.

წერილის სათაურში დასმული შეკითხვა ალბათ აღარც საჭიროებს პასუხს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დასავლეთ გერმანიის ეროვნული გუნდის წარუმატებელი თამაშის სენსაციად გამოცხადება ამჯერად არ იყო მართებული.

დავით კაკაბაძე.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 129.

• • •

სურათებზე: ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეები— ჰარალდ შუმახერი (მარცხნივ) და ლუის არკონადა.

• • •

ჩემპიონატის ექო

● **გაზეთები** მოიარა ცნობამ იმის შესახებ, რომ თავიანთი პოსტები დატოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა ი. დერვალმა და იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ტ. მილუტინოვიჩმა.

გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა პარიზიდან ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ა. იგნატოვმა. ევროპის ჩემპიონატზე საპატიო სტუმრად იყო მიწვეული ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე. როგორღაც ისე მოხდა, რომ პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე იგი არ შეუშვეს იმის მიუხედავად, რომ საპატიო სტუმარს მოსაწვევი ბარათი ჰქონდა. პელე განაწყენდა, დაბრუნდა სასტუმროში და ტელევიზორით უყურა ფინალურ თამაშს....

ინფორმაცია

II ლიგა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა" და ფოთის „კოლხეთს" შორის.

თამაში დამთავრდა „კოლხეთის" გამარჯვებით — 1:0.

პირველი გამარჯვება

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტულ სარბიელზე დაიწყო „სიჭაბუკის" თასის საკავშირო გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთა შორის.

როგორც ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელი **ნიკა ამირეჯიბი** მოსკოვიდან გვატყობინებს, ჩვენი ფეხბურთელები პირველად ლენინგრადის გუნდს შეხვდნენ. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა, ბურთები გაიტანეს დ. პეტრიაშვილმა და თ. შალამბერიძემ.

9 ივლისს, II ტურში, ჩვენი გუნდი ყირგიზეთის ნაკრებს შეხვდება.

გადამწყვეტი თამაშები დაიწყო

შავი ზღვისპირა ქალაქ ოჩამჩირეში დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური შეხვედრები „ტყავის ბურთის" პრიზზე. უმცროსი ასაკის ნორჩთა შორის მეტად საინტერესო იყო თბილისისა და ქუთაისის, აგრეთვე, გალისა და სოხუმის წყვილთა შეხვედრები.

საშუალო ასაკის ბავშვთა გათამაშებაში 11 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან თბილისი— საჩხერის რაიონი, გალის რაიონი — ცხაკაიას რაიონი, ბათუმი — ბორჯომის რაიონი, სამხრეთ ოსეთი — გურჯაანის რაიონი, ხაშური — ლაგოდეხის რაიონი, წყალტუბო — ამბროლაურის რაიონი, სოხუმი— ლანჩხუთის რაიონი, რუსთავი — ზუგდიდი.

12 ივლისს გაიმართება „ტყავის ბურთის" პრიზის რესპუბლიკური გათამაშების საზეიმო გახსნა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალების წინ

ქალაქი-კურორტიც ემზადება

საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის იბრძვიან.

და აი, ეს დროც დადგა. 25 ივლისს ივანოვოში, ჩელიაბინსკში, ნიკოლაევსა და ტალინში დაიწყება სსრ კავშირის ქალთა 44-ე ჩემპიონატის ნახევარფინალები. ამ შეჯიბრებებში საქართველოს წარგზავნილებიც მიიღებენ მონაწილეობას. ჩელიაბინსკში ითამაშებენ ოსტატი ციცინო კახაბრიშვილი, ზეინაბ ხვედელიძე, ნიკოლაევში — საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ქეთევან არახამია და ოსტატი ნინო მელაშვილი, ტალინში — საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი. ფინალი ჩატარდება ბელგოროდში (9 ოქტომბერი-2 ნოემბერი).

სსრ კავშირის ვაჟთა 52-ე ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალს, რომელიც 7 სექტემბერს აიღებს სტარტს, ბორჯომი უმასპინძლებს. ქალაქი-კურორტი, რომელსაც დიდი შეჯიბრების მონაწილეთა მიღების გამოცდილება აქვს, უკვე შეუდგა სამზადისს. მოჭადრაკეებს დაეთმობათ ბორჯომ-პარკის საკურორტო დარბაზი. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 18 მოჭადრაკე: დიდოსტატები ა. კოჩიევი, რ. ხოლმოვი, ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ვ. სალოვი, თბილისისა და ვილნიუსის საერთაშორისო ტურნირების პირველი პრიზიორი ოსტატი ვ. გავრიკოვი და სხვები. მათ შორის ჩვენი მოჭადრაკეებიც იქნებიან — დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატები ზურაბ სტურუა, გენადი ზაიჩიკი და ზურაბ აზმაიფარაშვილი; ტურნირი 2 ოქტომბრამდე გასტანს.

ნახევარფინალები ლვოვსა და ბარნაულშიც გაიმართება. აქ დიდოსტატი ედუარდ გუფელდი და საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა ითამაშებენ.

ფინალში გასულნი 1985 წლის გაზაფხულზე შეხვდებიან ერთმანეთს.

არც ერთი რევოლუცია არ შობილა რომანტიკოსა და მეოცნებეების გარეშე. რევოლუციის ლიდერებს სხვა ღირსებებთან ერთად მუდამ ამკობთ მომხიბვლელი პიროვნული თვისებები. ამიტომაა, რომ ისინი მუდამ რჩებიან ხალხისათვის თავისებურ სიმბოლოებად.

ერნესტო ჩე გევარა რევოლუციის რაინდი იყო. ყველაზე საკვირველი მაინც ის არის, რომ მას პატივს სცემდნენ თვით იდეური მოწინააღმდეგეებიც. დასავლეთის ბურჟუაზიულ ოჯახებშიც კი შეიძლება ნახოთ ჩეს პორტრეტი. რა არის ეს? მოდა ჩე გევარაზე, ნიადაგ ხაკის სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ, წვერულვაშმოშვებულ, სპორტული აღნაგობის მამაკაცზე თუ...

იცით როგორ თამაშობდა ჭადრაკს ჩე გევარა?

რევოლუცია რომანტიკის ჟრუანტელს ჰგვრის ადამიანებს.

საოცარი ბიოგრაფია აქვს ჩეს. მასზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ, მოდით, ანგარიში გავუწიოთ სპორტული გამოცემის სპეციფიკას და ამჯერად, ვისაუბროთ ჩე გევარა-მოჭადრაკეზე.

ნურავის გააკვირვებს ეს. რევოლუციის რაინდებს მუდამ ანდამატივით იზიდავდა ჭადრაკი. იქნებ იმიტომაც, რომ ყველაზე თავსატეხი და წარმოუდგენელი რევოლუციები, კატაკლიზმები, იდეათა შეხლა-შემოხლა ჯადოსნურ საჭადრაკო დაფაზე ხდება. და საერთოდ, ჭადრაკი ძალიან ჰგავს ცხოვრებას. ეს აზრი სიახლით არ გამოირჩევა. ამ დასკვნამდე მივიდნენ ჭადრაკის გამოგონებისთანავე.

ჩე ძლიერი მოყვარული მოჭადრაკე იყო. იგი ბუნებით მაქსიმალისტი გახლდათ. ამიტომ ჩემ იცოდა უსაზღვრო სიყვარული და უსაზღვრო სიძულვილი. ჭადრაკი უსაზღვროდ უყვარდა. იგი მას მეგობრობას უწევდა ფიცხელ ბრძოლებშიც და მშვიდობიანობის ჟამსაც, თუმცა ჩე და სიმშვიდე რაღაც ვერ ეწყობიან ერთმანეთს...

სად ჰქონდა დრო ჩეს? და მაინც, იგი პოულობდა დროს ჭადრაკისათვის. მან იცოდა, რომ ახალგაზრდა რევოლუციას საჭადრაკო ხელოვნებაც სჭირდებოდა, ხოლო ჭადრაკს — ძლიერი პიროვნების მფარველობა და მხარდაჭერა.

ჩემ დიდი ამაგი დასდო ახალ კუბაში ჭადრაკის თამაშის პოპულარიზაციის საქმეს. ერთი შეხედვით, კაპაბლანკას სამშობლოში ჭადრაკს პროპაგანდა არ უნდა დასჭირებოდა, მაგრამ გენიალური კაპის შემდეგ კუბელთაგან საერთაშორისო საჭადრაკო სარბიელზე აღარავინ უნახავთ. და მხოლოდ რევოლუციის შემდეგ დაწინაურდნენ კუბაში მაღალი კლასის მოჭადრაკეები.

თვით ჩე მოუცლელობის მიუხედავად ხალისით გამოდიოდა მისსავე ორგანიზებულ პირველ საჭადრაკო შეჯიბრებებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო იყო კუბაში ჩე გევარას ინიციატივით გამართული პირველი გუნდური ჩემპიონატი სახელმწიფო დაწესებულებებს შორის. თვით ტურნირი კი ზედმიწევნით ორიგინალურად დაიწყო: 1961 წლის 6 ივნისს კუბის ეროვნული სპორტის ინსტიტუტის დირექტორმა ხოსე ლიანუსმა პირველი სვლა გადმოსცა ტელეფონით სანტია გო-დე-კუბადან, ხოლო ჰავანის სპორტული ქალაქის სტადიონზე მყოფმა მაიორმა ჩე გევარამ ასევე ტელეფონით გადასცა საპასუხო სვლა. მისი ხმა, მიკროფონებით გაძლიერებული, სტადიონზე თავშეყრილ ათასობით ადამიანს ესმოდა. ამის შემდეგ რევოლუციის ერთ-ერთმა ლიდერმა სიტყვა წარმოთქვა: „ცხადია, ჭადრაკი — გართობაა, მაგრამ ამასთან ერთად იგი აზროვნების განვითარების საშუალებაცაა. ქვეყნებს, სადაც ეს ბრძნული თამაშია დაწინაურებული, სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებშიც წამყვანი ადგილი უჭირავთ“.

ჭადრაკი მართლაც თვალსაჩინო როლს თამაშობს იმაში, რასაც ოფიციალურ ენაზე ხალხთა ურთიერთგაგებისა და დაახლოების საქმეს ვუწოდებთ ხოლმე. 1960 წლის დამდეგს, ძალიან მალე რევოლუციის შემდეგ, ჰავანაში მოეწყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ამსახველი გამოფენა, რომლის გახსნას დაესწრო ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. მათ შორის იყო პაულ კერესი, კუბელ მოჭადრაკეთა კერპი, რომლის ჩასვლა კუბაში სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა მათთვის. მასპინძლებმა სტუმრის პატივსაცემად გამართეს „ჰავანაში კერესის კვირეული!“ იგი ითვალისწინებდა ერთდროული თამაშის სეანსებს, ჭადრაკის მოყვარულებთან შეხვედრებს. კუბელთა თქმით, კერესის ყოფნამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ეროვნული საჭადრაკო მოძრაობის განვითარებას.

რა თქმა უნდა, ჭადრაკზე ფანატიკურად შეყვარებული ჩე არ გაუშვებდა კერესთან შეხვედრის ბედნიერ შემთხვევას. რევოლუციის რაინდისა და ჭადრაკის რაინდის შეხვედრა მოხდა სასტუმრო „აბანა ლიბრეს“ სალონში, სადაც ანასტას მიქოიანმა კუბის რევოლუციური მთავრობის წევრთა პატივსაცემად მიღება მოაწყო. სწორედ აქ წარუდგინეს ერთმანეთს ჩე გევარა და კერესი. ისინი დიდხანს საუბრობდნენ. ამ საუბარს თვით კუბელები ისტორიულს უწოდებდნენ...

ჩე მეგობრობდა ბევრ ცნობილ მოჭადრაკესთან, ყველაზე მეტად კი თავის თანამემამულე დიდოსტატ მიგელ ნაიდორფთან. თუკი შემთხვევა მიეცემოდა, მუდამ მონაწილეობდა ერთდროული თამაშების სეანსებში, ძალიან უყვარდა საჭადრაკო ეტიუდების ამოხსნა...

• • •

სურათზე: ჩე გევარა ჭადრაკის დაფასთან.

ეროვნული

ინფორმაცია

ამერიკული ფინალი

უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირზე, რომელიც ბალახისსაფარიან კორტებზე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება, ერთეულთა თანრიგში მოასპარეზე ვაჟებმა ნახევარფინალური შეხვედრები გამართეს.

ცენტრალურ კორტებზე, რომელიც 15 ათას მაყურებელს იტევს, ჯერ 32 წლის ამერიკელი ჯიმი კონორსი და 24 წლის ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი გამოვიდნენ. ამ სპორტსმენების პირად შეხვედრებში უპირატესობა კონორსის მხარეს იყო — 11:5. ამერიკელმა ვეტერანმა ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშა თავისი უფრო ახალგაზრდა მეტოქის წინააღმდეგ და 4 პარტიაში გაიმარჯვა — 6:7, 6:3, 7:5, 6:1. ლენდლი საერთოდ უფრო გრუნტიან კორტებზე თამაშის სპეციალისტად ითვლება და ვერაფერი მოუხერხა კონორსის ყუმბარისებურ მოწოდებებს, მის უძლიერეს და ზუსტ დარტყმებს უკანა ხაზიდან.

მეორე ნახევარფინალში ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ საკმაოდ იოლად სძლია ავსტრალიური ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს პეტ კეშს — 6:3, 7:6, 6:4. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს 19 წლის სპორტსმენი ცალკეულ მომენტებში არაფრით ჩამოუვარდებოდა მრისხანე მეტოქეს.

ამრიგად, ვაჟთა ტურნირის ფინალი (კონორსი — მაკინროუ) ამერიკული იქნება. საინტერესოა, რომ კონორსიც და მაკინროუც უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებულნი არიან. სხვათა შორის, ისინი ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ამ ასპარეზობის ფინალში. მაშინ, 1982 წელს, ხუთ პარტიაში გაიმარჯვა კონორსმა.

ვაჟთა წყვილების გადამწყვეტ მატჩში პეტ კეში და პოლ მაკნამი (ორივე — ავსტრალია) შეხვდებიან ამერიკელთა დუეტს — ჯონ მაკინროუსა და პიტერ ფლემინგს.

შეჯიბრებას გამოეთიშა საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წარმომადგენელიც: იუნიორთა ტურნირის მესამე წრეში მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა წააგო იონას სვენსონთან (შვეცია) — 6:2, 1:6, 3:6.

გაიმარჯვეს ვადამდე

პარიზის გარეუბანში მდებარე ბურჟეს აეროდრომზე, სადაც ავიამოდელისტთა მერვე მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, საბჭოთა სპორტსმენებმა ვადამდე გაინაღდეს I ადგილი საკორდო მოდელებით შეჯიბრებაში. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან კიეველები: წინა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული ვალერი კრამარენკო, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ვლადიმერ ფედოსოვი და მოსკოველი ვლადიმერ ბულატნიკოვი.

ჩემპიონატში 18 ქვეყნის ავიამოდელისტები მონაწილეობენ.

◆

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი 27-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 9 (საგზაწკეცილო ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 32 (ფიგურული ციგურაობა), 46 (ჩოგბურთი), 48 (ჭადრაკი), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 6 (ძიუდო), 10 (წყალბურთი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 24 (ხელბურთი).

ფინალში „ოქროს“ ქულით

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდა სტუდენტთა საკავშირო საზაფხულო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელ ქალთა ტურნირი. შეჯიბრებაში ადგილობრივი გუნდის გარდა მონაწილეობდნენ უკრაინის, სომხეთის, მოსკოვის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის კოლექტივები.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას, ამჯერად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები იცავდნენ (მწვრთნელები — ილია მირიანაშვილი და გარი არუთინოვი). მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს ყველა შეხვედრა, მათ შორის უკრაინის ძლიერ გუნდთან (74:48) და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდნენ უკრაინელი კალათბურთელები. თბილისელთაგან ამ მატჩში მონდომებით ითამაშეს: ო. ბადინამ, ნ. ლორიამ, მ. ნიკოლაიშვილმა და მ. ნოვიკოვამ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა ადვილად მოიგეს სხვა შეხვედრებიც: სომხეთთან — 93:48, მოსკოვთან — 75:59, მოლდავეთთან — 71:48, აზერბაიჯანთან — 66:25.

ჩვენი რესპუბლიკისა და უკრაინის გუნდებმა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, თანაც, საქართველოს კალათბურთელებს უკვე აქვთ ერთი „ოქროს“ ქულა უკრაინელებთან გამარჯვებისათვის. ფინალური ასპარეზობა, როგორც ცნობილია, ჩატარდება კაუნასში (აგვისტო).

გია ახალაძე.

ინფორმაცია

ალექსეი ჩიქოვი მსოფლიო ჩემპიონია

ხერსონში მიმდინარე ორთაბრძოლამ ვადამდე, მეხუთე პარტიის შემდეგ დაასახელა მსოფლიო ჩემპიონი საერთაშორისო შაშში იუნიორთა შორის გაიმარჯვა იჟევსკელმა სტუდენტმა, 19 წლის ალექსეი ჩიჟოვმა.

გამარჯვებულმა და მისმა მეტოქემ — რიგელმა ანდრის კეისელსმა მატჩში გაითამაშეს ხუთი პარტია. სამი შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მეოთხე და მეხუთე კი ჩიჟოვმა მოიგო.

ახალი პრეზიდენტი

ივნისის დამლევს მიუნხენში ჩატარდა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) კონგრესი, რომელმაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია 69 წლის რობერ ბიუსნელი (საფრანგეთი). კონგრესმა ძველ პრეზიდენტს ფილიპინელ გონსალო პუიიატას მადლობა გადაუხადა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. ფედერაციის ახალ ხელმძღვანელ კომიტეტში პირველად აირჩიეს ქალებიც — კუბელი მარსიო სალასი და ამერიკელი ლია პლასკი.

კონგრესის მუშაობაში მონაწილე 82 ქვეყნის 183-მა დელეგატმა დაამტკიცა კალათბურთის თამაშის ახალი წესები (იხ. 26 ივნისის „ლელო“ № 121.).

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09854